



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1484

13/08/2018

ქალაქი ბათუმი

1484-05-4-201808131517



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 ნოემბრის №2503 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 ნოემბრის №2503 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) მალხაზ სალვარიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) კახაბერ ფუტყარაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის წევრი;

დ) ანა ბაჟაშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის მდივანი;

ე) ტარიელ ნაკაშიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ვ) მზევინარ გათენაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

ზ) თეიმურაზ გაწერელია - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

თ) დავით ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ი) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის უფროს სპეციალისტები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში;

კ) საჭიროების შემთხვევაში კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღევა ეთხოვოს გეოლოგიურ და სხვა სამსახურებს.“.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

